სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

90868105202424

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240886826

რეგისტრაციის თარიღი

12.07.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის თორმეტ ივლისს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზირი 47-ში, მომმართა **ზურაბ საპანაძემ.** მან განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს **"ჯორჯიან ექსპრესი"-ს** (ს/კ 201954965) გენერალურ დირექტორს და წარმომიდგინა უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23068380, 31/05/2023 18:30:04 მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება,რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ალექსანდრე ნოდიას** (დაბ. 12.05.1991წ. თბილისში, პირადი # 01024072839, პ/მ 13IG36775 რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ა.ყაზბეგის (ბაგრატიონის) ქ. 10 ბინა 13). მე დავადგინე **ზურაბ საპანაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს ,,ჯორჯიან ექსპრესი"-ს გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ საპანაძემ** (დაბ. 15.03.1980 წ. თბილისში, პირ. # 01017010701, მისამართზე: თბილისი თბილისი, კოსტავას ქ. 54 ბინა 29) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე შევადგინე ტექსტი, რომელიც წაიკითხა მან და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მინდობილობა

შპს "ჯორჯიან ექსპრესი"-ს (ს/კ 201954965) გენერალურმა დირექტორმა ზურაბ საპანაძემ, რომელიც შემდეგში მოხსენიებულ არის როგორც ,,მიმნდობი'', **ალექსანდრე ნოდიას,** რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც ,,მინდობილი პირი'', მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილ პირი მიმნდობს წარმოადგენს საქართველოს ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურში, ნებისმიერი მერიის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, გამწვანების სამსახურში, ნებისმიერი ორგანიზაციის არქივში, ქონების მართვის სააგენტოში, მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ურთიერთობაში რაც დაკავშირებულია ზემოთ მოცემულ დავალებასთან, შეიტანოს განცხადებები, განახორციელოს ყველა ნებისმიერი ქმედება კომპეტენტურ ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, გააგრძელოს მშენებლობის ვადა, წარადგინოს შესაბამისი განცხადებები, თანხმობები, ცნობები, დოკუმენტები, ფოტომონტაჟი, აზომვითი ნახაზი (მათ შორის ელექტრონული ვერსია), მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოახდინოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია, ფართის დაზუსტება, კორექტორება, რეგისტრაცია, კონფიგურაცია/კატეგორიის ცვლილება, ზონის ცვლილება, გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგავრი ხარვეზი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, გაასაჩივროს ნებისმიერი ორგანოს აქტი/დოკუმენტი შეიტანოს განაცხადი შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება , რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.
2. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ამოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

4. მინდობილი პირი ვალდებულია მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით. მიმნდობს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შეასრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

. ძიმნდობი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.
. მინდობილი პირი უფლებამოსილი არ არის ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები გადასცეს სხვა პირებს.
7. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს“.
8. მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის** ვადით და ძალაშია **2025 წლის 12 ივლისის** ჩათვლით, **გადანდობის უფლების გარეშე.**
მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, თან ერთვის დანართი დოკუმენტი:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია